SMART TRANSPORTATION SOLUTIONS

ქ. თბილისში, ხევძმარის ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.11.13.001.117) – ტრანსპორტის ზემოქმედების შეფასება



ქ. თბილისში, ხევძმარის ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.11.13.001.117) – ტრანსპორტის ზემოქმედების შეფასება

შემსრულებელი:

შპს „STS“

ნ. არჩუაძე

ზ. ბერაძე

სარჩევი

პროექტის ძირითადი მიზნები და ამოცანები 9

საკვლევი არეალი 10

არსებული სიტუაციის მიმოხილვა 12

ქუჩათა ქსელი 12

საპროექტო ტერიტორიის შესწავლა საკვლევი არიალის ფარგლებში 20

კვლევის მიზანი 20
მეთოდოლოგია (არსებული სიტუაციის შესწავლა) 20
კვლევის ჩატარების პროცესი 21
ქვეითთა მოძრაობა 23
საზოგადოებრივი ტრანსპორტი 25
M3 კატეგორია 26
M2 კატეგორია 27
რეზერვების ანალიზი 27

შემოთავაზებული მშენებლობის მიმოხილვა 40

გენერირებული/მიზიდული ნაკადები და სივრცითი განაწილება 42

გენერირებული ნაკადები 43
გენერირებული (საპროექტო) ნაკადების კალკულაცია - საზოგადოებრივი ტრანსპორტი 48
მიზიდული ნაკადები 50

საკვლევი არეალის ქუჩებისა და კვანძების გამტარუნარიანობის კვლევა 54

გზაჯვარედინებისა და გზის გამტარუნარიანობა 54

ლოკაცია #1 შეშელიძე-შენგელია შუქნიშნით რეგულირებული გზაჯვარედინის ანგარიში 55
ლოკაცია #2 გობრონიძე-შენგელიას გადაკვეთის ანგარიში 64
ლოკაცია #3 ვეკუა-გობრონიძის გადაკვეთის ანგარიში 70

გამოვლენილი ნაკლოვანებები და რეკომენდაციები 75

სატრანსპორტო მოძრაობა 75
საქვეითე მოძრაობა 78
საზოგადოებრივი ტრანსპორტი 80

დანართი 82

[1] სატრანსპორტო ნაკადები მიმართულებებით 82
[2] სატრანსპორტო ნაკადები 15 წუთიანი ინტერვალებით 85
[3] M3 მარშუტები: 86
[4]M2 მარშუტები: 95

გამოყენებული ლიტერატურა 127

1. *თბილისის მდგრადი ურბანული ტრანსპორტის სტრატეგია, დეკემბერი 2015 ჟან-მანუელ ჟილი - ინდივიდუალური კონსლულტანტი 127*
2. *www.ttc.com.ge 127*
3. *СНиП 2.07.01-89 ..... 127*
4. *შინამეურნეობების მობილობის კვლევა (SYSTRA) 127*
5. *საქართველოს მთავრობის დადგენილება No 41 2016 წლის 28 იანვარი ქ. თბილისი 127*
6. *„МЕТОДИЧЕСКИЕ РЕКОМЕНДАЦИИ ПО ОЦЕНКЕ ПРОПУСКНОЙ СПОСОБНОСТИ АВТОМОБИЛЬНЫХ ДОРОГ“, ФЕДЕРАЛЬНОЕ ДОРОЖНОЕ АГЕНТСТВО (РОСАВТОДОР), ОДМ 218.2.020-2012, М. 2012; 127*

7. А.Г. Левашев, И.М. Головных, „ИДЕАЛЬНЫЙ ПОТОК НАСЫЩЕНИЯ НА РЕГУЛИРУЕМОМ ПЕРЕСЕЧЕНИИ“ - http://transport.istu.edu/downloads/satur_flow.pdf.....127

8. „РАСЧЕТ ПРОПУСКНОЙ СПОСОБНОСТИ МАГИСТРАЛЕЙ И УЗЛОВ“.....127

ხელშეკრლების საგანი: სატრანსპორტო კვლევა
საკვლევი ობიექტი: ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, ხევძმარის ქუჩის მიმდებარედ
ხელშეკრულების დადების ადგილი: ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
ტრანსპორტის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **16-01181243959**
თარიღი: **04.05.2018**

ადრესატი:
შპს ლენდ მარკ პროჯექტი
საიდენტიფიკაციო ნომერი: 405221843
მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ირაკლი აბაშიძეს ქუჩა, N 86, ბინა 8

ბატონო ავთანდილ,

თქვენი 2018 წლის 26 აპრილის წერილის (№10/0118116951-16) პასუხად, რომელიც შეეხება ქ. თბილისში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.11.13.001.109) მრავალფუნქციური კომპლექსისათვის სატრანსპორტო კვლევის არეალის განსაზღვრას, გაცნობებთ:

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-8 მუხლის 1^2 პუნქტის თანახმად, განაშენიანების რეგულირების გეგმის წინასაპროექტო კლევა უნდა მოიცავდეს „...საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემას საკვლევი (საჭიროების შემთხვევაში საპროექტო ტერიტორიაზე) ტერიტორიის სატრანსპორტო/საგზაო ინფრასტრუქტურის დატანით (მათ შორის ნაკადების რაოდენობის მიმართულებების მითითებით) და საპროექტო გადაწყვეტის ზეგავლენის შეფასებას არსებულ საკვლევ საგზაო ინფრასტრუქტურაზე.“ გარდა ამისა, ამავე მუხლის 1^1 პუნქტის მიხედვით „დაგეგმარებითი ამოცანებისათვის ურბანულ განვითარებაზე უფლებამოსილი თბილისის მერიის სტრუქტურული ერთეული უფლებამოსილია განსაზღვროს დამატებითი მონაცემები წინასაპროექტო კვლევისადმი და ყველა ცალკეულ შემთხვევაში კვლევის არეალი, რომელიც შესაძლოა აღემატებოდეს საპროექტო არეალს.“.

იგეგმება მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობა. ფუნქციიდან (მრავალფუნქციური კომპლექსი) და მოცულობიდან გამომდინარე მოსალოდნელია პიკის საათში სატრანსპორტო ნაკადების მაღალი ინტენსივობა. შესაბამისად მიზანშეწონილია ტრანსპორტზე ზეგავლენის შეფასება. წარმოდგენილი პროექტის საგზაო ინფრასტრუქტურაზე ზეგავლენის შესაფასებლად, საკვლევი ტერიტორია უნდა მოიცავდეს იმ გზებსა და ძირითადი კვანძებს, რომელიც უზრუნველყოფს საპროექტო ტერიტორიის კავშირს ქალაქთან სხვადასხვა მიმართულებით, მიზიდვის ძირითადი წერტილებისაკენ. სატრანსპორტო კვლევის კომპონენტები და საკვლევი არეალები მოცემულია დანართის სახით.

გარდა ამისა, წარმოსადგენია საპროექტო ტერიტორიის და საკვლევი არეალის საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა, მოქმედი სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

დანართი : 3 ფურცელი.

პატივისცემით,

ტრანსპორტის საქალაქო სამსახური - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)

მამუკა მუმლაძე

13

	წინასაპროექტო კვლევა	საკვლევი ტერიტორია	განმარტება
1	**საკვლევი ტერიტორიის სატრანსპორტო შესწავლა**		ზეგავლენის შესაფასებლად საჭიროა არსებული სატრანსპორტო მდგომარეობის შესწავლა საკვლევი არეალის ფარგლებში
1.1.	საკვლევი ტერიტორიის საგზაო ინფრასტრუქტურის კვლევა და სქემა	*ქუჩები: შემელიძე (შენგელიამდე), ხიზანიშნილი (მეორე მოსახვევამდე), ა. გობრონიძე (წრემდე)*	საგზაო ინფრასტრუქტურაზე ზეგავლენის შესაფასებლად, საკვლევი ტერიტორია უნდა მოიცავდეს იმ გზებსა და ძირითადი კვანძებს, რომელიც უზრუნველყოფს საპროექტო ტერიტორიის კავშირს ქალაქთან სხვადასხვა მიმართულებით, მიზიდვის ძირითადი წერტილებისაკენ.
1.2.	საქვეითე ინფრასტრუქტურის კვლევა და საქვეითე მისაწვდომობის რუკა	*თ. შემელიძის, რ. შენგელიას, და ა. გობრონიძის ქუჩები ავტობუსის უახლოეს გაჩერებასა და მ/ს ახმეტელამდე*	საქვეითე ინფრასქტრუქტურის შესაწვლა საჭიროა საპროექტო ტერიტორიამდე უსაფრთხო საქვეითე მისაწვდომობისათვის საჭირო მაკორექტირებელი ღონისძიებების დასაგენად. იმ შემთხვევაში, როდესაც განაშენიანება არ არის ფეხითმოსაიარულეთათვის ადვილად მისაწვდომი, მაცხოვრებელთა/ვიზიტორთა მგზავრობები უმეტესად მანქანით ხორციელდება. ასევე მნიშვნელოვანია საზ. ტრანსპორტამდე უსაფრთხო წვდომის უზრუნველყოფა.
1.3.	საზოგადოებრივი ტრანსპორტის მისაწვდომობის კვლევა და რუკა		
2	**ინფორმაცია პროექტზე**		
2.1.	საპროექტო ტერიტორიის კ-2 კოეფიციენტის საანგარიშო		ეს მონაცემი საჭიროა საპროექტო ტერიტორიაზე

	ფართი ფუნქციების მიხედვით		მომავალი მაცხოვრებლების და ვიზიტორების დაახლოებითი რაოდენობის დასადგენად
2.2.	საპროექტო ტერიტორიის პერსპექტივაში მაცხოვრებელთა /ვიზიტორთა რაოდენობა		ამ მონაცემის საფუძველზე დადგინდება ახალი გენერირებული/მიზიდული მგზავრობების რაოდენობა.
3.	**საპროექტო ტერიტორიის გენერირებული/მიზიდული (ახალი) მგზავრობები**		
3.1.	საპროექტო ტერიტორიაზე გენერირებული/მიზიდული მგზავრობების რაოდენობა		
3.2	მგზავრობების მოდალური განაწილება		მოდალური განაწილება - გადაადგილების სხვადასხვა საშუალებების წილი მგზავრობების საერთო რაოდენობაში - მანქანა, საზ. ტრანსპორტი, ქვეითი, ტაქსი. ამ მონაცემის განსაზღვრა საჭიროა, იმის დასადგენად, რა ზემოქმედება ექნება დაგეგმილ პროექტს სამანქანო ნაკადებზე; ასევე საზ. ტრანსპორტის მიწოდების დასაგეგმად და საქვეითე ინფრასქტრუქტურის მაკორექტირებელი ღონისძიებების დასადგენად. იმისათვის, რომ დიდი მასშტაბის განაშენიანებას არ ჰქონდეს უარყოფითი სატრანსპორტო შედეგები, საჭიროა ღონისძიებების დაგეგმვა, მოდალურ განაწილებაში სამანქანო გადაადგილების წილის შემცირების მიზნით.
3.3.	მგზავრობების სივრცითი განაწილება		ამ მონაცემით განისაზღვრება, რომელ გზებზე და კვანძებზე იქნება ზეგავლენა; საზ.

			ტრანსპორტის რომელ მიამრთულებაზე/ხაზებზე იქნება მომსახურების გაუმჯობესება საჭირო; სად იქნება საჭირო საფეხმავლო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.
4	**ახალი გენერირებული მგზავრობების ზეგავლენის შეფასება**		
	• გზათა ქსელზე (მათ შორის ძირითად კვანძებზე); • საზოგადოებრივ ტრანსპორტზე; • საქვეითე ინფრასქტრუქტურაზე (ქვეითთა გადასასვლელების გათვალისწინებით)		კვლევის წინა კომპონენტებიდან გამომდინარე საჭიროა დაგეგმილი განაშენიანების ზეგავლენის შეფასება ტრანსპორტზე და ტრანსპორტის ცალკეულ სახეობებზე.
5	**რეკომენდაციები**		ზეგავლენის შეფასების საფუძველზე განისაზღვრება ის ღონისძიებები, რაც საჭიროა დაგეგმილი განაშენიანების მომავალი მაცხოვრებლების და ვიზიტორების ტრანსპორტით უზურუნველყოფისა და მოდალურ განაწილებაში მანქანის როლის შესამცირებლად.
6	**გამოყენებული ლიტერატურა და სტანდარტები**		კვლევის ტექსტრური ნაწილში მითითებული უნდა იყოს კვლევის და ანილიზისას გამოყენებული სტანდარტები და მეთოდოლოგია და შესაბამისი ლიტერატურა.

პროექტის ძირითადი მიზნები და ამოცანები

ჩვენს მიერ შესრულებული სატრანსპორტო კვლევის მიზანია დადგინდეს ქ. თბილისში გლდანის რაიონში, ხევძმარის ქუჩის მიმდებარედ (საკადასტრო კოდი 01.11.13.001.117) მდებარე მიწის ნაკვეთზე მეავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობის მიზანშეწონილობა საგზაო ინფრასტრუქტურის, საზოგადოებრივი ტრანსპორტისა და ქვეითთა მისაწვდომობის კუთხით.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს შეშელიძის, შენგელიას და ა. გობრონიძის ქუჩებს შორის (ს/კ 01.11.13.001.117). მისი ფართობი შეადგენს 26378 კვ.მ.-ს.



ილუსტრაცია # 1

საკვლევი არეალი

კვლევის დასახული მიზნის მისაღწევად განვიხილავთ შეშელიძის (შენგელიამდე), ხიზანიშვილის (მეორე მოსახვევამდე) და ა. გობრონიძის (წრემდე) ქუჩების დღეს არსებულ მდგომარეობას, საგზაო ინფრასტრუქტურას, ქვეითთა მობრაობას და საზოგადოებრივი ტრანსპორტის ხელმისაწვდომობას.



ილუსტრაცია # 2

არსებული სიტუაციის მიმოხილვა

ქუჩათა ქსელი

ჩვენს მიერ შესრულებული სატრანსპორტო კვლევის მიზანია დადგინდეს ქ. თბილისში, ხევძმარის ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი 01.11.13.001.117) მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობის მიზანშეწონილობა საგზაო ინფრასტრუქტურის, საზოგადოებრივი ტრანსპორტისა და ქვეითთა მისაწვდომობის კუთხით.

კვლევის დასახული მიზნის მისაღწევად განვიხილავთ შეშელიძის (შენგელიამდე), ხიზანიშვილის (მეორე მოსახვევამდე) და ა. გობრონიძის (წრემდე) ქუჩების დღეს არსებულ მდგომარეობას, საგზაო ინფრასტრუქტურას, ქვეითთა მოძრაობას და საზოგადოებრივი ტრანსპორტის ხელმისაწვდომობას

1. შეშელიძის ქუჩა (შენგელიამდე).

ქუჩის პარამეტრები მოცემულია ცხრილში

#	შეშელიძის (შენგელიას ქუჩიდან ი. ვეკუას ქუჩამდე) ქუჩის მახასიათებლები	
	მითითება	მახასიათებლები
1	მოძრაობის მიმართულება	220 მეტრი ორმხრივი 270 მეტრი ცალმხრივი
2	ზოლების რაოდენობა	2X2 – 220 მეტრი 3 – 270 მეტრი
3	ქუჩის სიგრძე	490 (აღნიშნული მონაკვეთი)
4	ქუჩის სიგანე	15-16
5	რეგულირებადი სიჩქარე კმ/სთ	60
6	გზის საფარის მდგომარეობა	დამაკმაყოფილებელი
7	ტროტუარი	კი
8	ტრტუარის სიგანე	1 - 2
9	ტრტუარის საფარის მდგომარეობა	დაზიანებული, არ არის ადაპტირებული შშმ პირთათვის
10	პარკირება	დაშვებულია
11	ქვეითთა გადასვლა დარეგულირებულია	1.14.1 საგზაო მონიშვნით
12	საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებები	კი
13	ჰორიზონტალური საგზაო მონიშვნა	არა
14	ვერტიკალური მონიშვნა	არა
15	შუქნიშნის ობიექტი	არა
16	ავტობუსის ზოლი	არა
17	ქვეითთა გადასასვლელი ხიდი	არა
18	ველო ბილიკი	არა

ცხრილი N 1



ილუსტრაცია # 3



ილუსტრაცია # 4



ილუსტრაცია # 5

2. ი. ვეკუას (ყოფილი ხიზანიშვილის) ქუჩა (მეორე მოსახვევამდე)

#	ი. ვეკუას (ყოფილი ხიზანიშვილის) ქუჩა შეშელიძის ქუჩიდან მეორე მოსახვევამდე	
	მითითება	მახასიათებლები
1	მოძრაობის მიმართულება	ცალმხრივი
2	ზოლების რაოდენობა	3
3	ქუჩის სიგრძე	360 მ (აღნიშნული მონაკვეთი)
4	ქუჩის სიგანე	15 მ
5	რეგულირებადი სიჩქარე კმ/სთ	60
6	გზის საფარის მდგომარეობა	დამაკმაყოფილებელი
7	ტროტუარი	კი
8	ტრტუარის სიგანე	1 - 2
9	ტრტუარის საფარის მდგომარეობა	ცუდი, არ არის ადაპტირებული შშმ პირთათვის
10	პარკირება	დაშვებულია
11	ქვეითთა გადასვლა დარეგულირებულია	1.14.1 საგზაო მონიშვნით
12	საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებები	კი
13	ჰორიზონტალური საგზაო მონიშვნა	არა
14	ვერტიკალური მონიშვნა	არა
15	შუქნიშნის ობიექტი	არა
16	ავტობუსის ზოლი	არა
17	ქვეითთა გადასასვლელი ხიდი	არა
18	ველო ბილიკი	არა

ცხრილი N 2



ილუსტრაცია # 6



ილუსტრაცია # 7



ილუსტრაცია # 8



ილუსტრაცია # 9

3. ა. გობრონიძის ქუჩა (წრემდე)

#	ა. გობრონიძის ქუჩა შეშელიძისა და ი. ვეკუას ქუჩების კვეთიდან ა. გობრონიძისა და მ. ნოზაძის ქუჩების კვეთამდე	
	მითითება	მახასიათებლები
1	მოძრაობის მიმართულება	65 მეტრი ორმხრივი 60 მეტრი ცალმხრივი
2	ზოლების რაოდენობა	2X2 – 65 მეტრი 2 – 60 მეტრი
3	ქუჩის სიგრძე	135 მ (აღნიშნული მონაკვეთი)
4	ქუჩის სიგანე	65 მეტრი - 34 მ 60 მეტრი - 13 მ
5	რეგულირებადი სიჩქარე კმ/სთ	60
6	გზის საფარის მდგომარეობა	დამაკმაყოფილებელი
7	ტროტუარი	კი
8	ტრტუარის სიგანე	3-7 მ
9	ტრტუარის საფარის მდგომარეობა	ცუდი (ასფალტი, ფილა), არ არის ადაპტირებული შშმ პირთათვის
10	პარკირება	დაშვებულია
11	ქვეითთა გადასვლა დარეგულირებულია	1.14.1 საგზაო მონიშვნით
12	საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებები	კი
13	ჰორიზონტალური საგზაო მონიშვნა	არა
14	ვერტიკალური მონიშვნა	არა
15	შუქნიშნის ობიექტი	არა
16	ავტობუსის ზოლი	არა
17	ქვეითთა გადასასვლელი ხიდი	არა
18	ველო ბილიკი	არა

ცხრილი N 3



ილუსტრაცია # 10





ილუსტრაცია # 11



ილუსტრაცია # 12

საპროექტო ტერიტორიის შესწავლა საკვლევი არიალის ფარგლებში

კვლევის მიზანი

საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ საზოგადოებრივი ტრანსპორტის მისაწვდომობის, სატრანსპორტო და საქვეითე ინფრასტრუქტურის შესწავლა. პროექტის განხორციელების შემდგომ სატრანსპორტო ნაკადებზე ზეგავლენის შეფასება.

მეთოდოლოგია (არსებული სიტუაციის შესწავლა)

პირველ ეტაპზე, რუკაზე განისაზღვრება საკვლევი ტერიტორიის არეალი და აღინიშნება ის ქუჩები, გამზირები და გზაჯვარედინები (მოცემული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ), რომლებზეც ზეგავლენას მოახდენს პროექტის განხორციელება.

საპროექტო არეალზე მისვლით და შესწავლით, ზუსტდება ადგილები და მათი რაოდენობა, სადაც უნდა განხორციელდეს კვლევა.

დამკვირვებლებს რომლებიც კვლევის განხორციელებაში იღებენ მონაწილეობას ჩაუტარდათ ტრეინინგი. მათი უმრავლესობა შეადგენს სტუდენტებს, რომლებიც გამოირჩევიან საჭირო უნარჩვევებით კონკრეტული დავალებების შესასრულებლად.

კვლევის ჩატარების პროცესი

ეტაპი პირველი: საქვეითე ინფრასტრუქტურის კვლევა

განისაზღვრა საპროექტო არეალიდან გამომსვლელი და შემსვლელი ქვეითთა სავარაუდო გადაადგილდების სქემა.

ეტაპი მეორე: საზოგადოებრივი ტრანსპორტის მიწვდომადობის შესწავლა

საპროექტო არეალიდან უახლოეს გაჩერებებზე ჩავატარეთ საზოგადოებრივი ტრანსპორტის დატვირთულობის კვლევა.

კვლევა განხორციელდა დამკვირვებლების მიე, სუპერვაიზერის მეთვალყურეობის ქვეშ.

კვლევა განხორციელდა კვირის ორ სამუშაო დღეს, დილის და საღამოს პიკი საათებში (20-21 ივნისი, ოთხშაბათი-ხუთშაბათი, 08:30 - 09:30 და 18:00 - 19:00 სთ).

საზოგადოებრივი ტრანსპორტის დატვირთულობის ანალიზისათვის, აღვრიცხეთ გაჩერებაზე M3 და M2 კატეგორიის ავტობუსები. გაჩერებებზე დამკვირვებლებმა მოახდინეს საზოგადოებრივ ტრანსპორტზე დაკვირვება და მისი დატვირთულობის შეფასება.

შევიმუშავეთ 10 ბალიანი სისტემა სატრანსპორტო საშუალებების დატვირთულობის ანალიზისათვის.

გაჩერებებზე საზოგადოებრივი ტრანსპორტის დატვირთულობის შეფასება .											
M2 კატეგორიის ავტობუსი (16 დასაჯდომი + 5 ფეხზე მდგომი მგზავრი)											
ქულა	*0*	*1*	*2*	*3*	*4*	*5*	*6*	*7*	*8*	*9*	*10*
მგზავრების რაოდენობა	*0*	*2*	*4*	*6*	*9*	*12*	*14*	*16*	*18*	*20*	***21 +***
M3 კატეგორიის სამუალო ტევადობის ავტობუსი (21 დასაჯდომი + 22 ნებადართული ფეხზე მდგომი მგზავრი)											
ქულა	*0*	*1*	*2*	*3*	*4*	*5*	*6*	*7*	*8*	*9*	*10*
მგზავრების რაოდენობა	*0*	*3*	*8*	*12*	*16*	*21*	*26*	*30*	*35*	*39*	***43 +***
M3 კატეგორიის დიდი ტევადობის ავტობუსი (31 დასაჯდომი + 49 ნებადართული ფეხზე მდგომი მგზავრი)											
ქულა	*0*	*1*	*2*	*3*	*4*	*5*	*6*	*7*	*8*	*9*	*10*
მგზავრების რაოდენობა	*0*	*5*	*10*	*18*	*24*	*31*	*40*	*50*	*60*	*70*	***80 +***
შენიშვნა	*10 ქულა ნიშნავს სრულ დატვირთულობას, როდესაც ტრანსპორტში ასვლა შეუძლებელია და გაჩერებაზე არსებული მგზავრი ვერ ახერხებს საზოგადოებრივ ტრანსპორტში ასვლას.*										

ილუსტრაცია # 13

მიღებული შეფასებებიდან და სატრანსპორტო საშუალებების ტევადობებიდან გამომდინარე, მოხდა მათი ცხრილის სახით ფორმატირება, სადაც ასევე მიღებულია კომბინირებული მონაცემები თითოეული მარშრუტის საშუალო დატვირთულობისა და რეზერვის გათვალისწინებით.

ეტაპი მესამე: სატრანსპორტო ნაკადების შესწავლა

პროექტის არეალიდან გამომდინარე, განსაზღვრულ კვანძებზე, კვლევა განხორციელდა კვირის ორ სამუშაო დღეს, დილის და საღამოს პიკი საათებში (13-14 ივნისი, ოთხშაბათი-ხუთშაბათი, 09:00 - 10:00 და 18:00 - 19:00 სთ).

სატრანსპორტო ნაკადების შესწავლა ხდება თანამედროვე ვიდეო კამერებით, რის შემდეგაც საგზაო მონაცემებს ამუშავებენ მსოფლიოს წამყვანი სპეციალისტები.



ილუსტრაცია # 14

ქვეითთა მოძრაობა

საქვეითე ინფრასტრუქტურის კვლევისას განვიხილავთ საპროექტო ტერიტორიიდან თ. შეშლიძის, რ. შენგელიას და ა. გობრონიძის ქუჩებზე ქვეითების გადაადგილებას უახლოეს საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებებამდე (#3838, #3018, #1525, #1119 და #3086).



ილუსტრაცია # 15

#	რ. შენგელიას ქუჩა	
	მითითება	მახასიათებლები
1	მოძრაობის მიმართულება	325 მეტრი ცალმხრივი 275 მეტრი ორმხრივი
2	ზოლების რაოდენობა	2X2
3	ქუჩის სიგრძე	600
4	ქუჩის სიგანე	14
5	რეგულირებადი სიჩქარე კმ/სთ	60
6	გზის საფარის მდგომარეობა	დამაკმაყოფილებელი
7	ტროტუარი	კი
8	ტრტუარის სიგანე	1.5 - 2
9	ტრტუარის საფარის მდგომარეობა	დაზიანებული, არ არის ადაპტირებული შშმ პირთათვის
10	პარკირება	აკრძალულია
11	საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებები	არა
12	ჰორიზონტალური საგზაო მონიშვნა	არა
13	ვერტიკალური მონიშვნა	არა
14	შუქნიშნის ობიექტი	2
15	ავტობუსის ზოლი	არა
16	ქვეითთა გადასასვლელი ხიდი	არა
17	ველო ბილიკი	არა

ცხრილი N 4

საზოგადოებრივი ტრანსპორტი

საზოგადოებრივი ტრანსპორტის მისაწვდომობის კვლევისას განვიხილავთ საკვლევ ტერიტორიასთან უახლოესად მდებარე #1119, #1525, #3018, #3086 და #3838 საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებებს და მათზე საზოგადოებრივი ტრანსპორტის მისაწვდომობას.

M3 მარშრუტები	#3 #79	#23 #108	#24	#32	#33	#45	#51	#73
M2 მარშრუტები	#8 #78 #136 #158 #226	#9 #85 #139 #180	#29 #86 #142 #187	#30 #96 #144 #202	#39 #100 #145 #210	#43 #111 #147 #211	#45 #116 #148 #217	#77 #133 #153 #225

ცხრილი N 5

პირობითად ავღნიშნავთ:

- „1 მიმართულება“ - #1119 (მომს), #3018, #3086 (მომს) და #3838 გაჩერებები - საპროექტო ტერიტორიასთან მოსვლა
- „2 მიმართულება“ - #1119 (წამს), #1525 და #3086 (წამს) გაჩერებეია - საპროექტო ტერიტორიიდან გასვლა.

მთლიანობაში დაკვირვება ჩატარდა M3 კატეგორიის 10 და M2 კატეგორიის 33 მარშრუტზე.

M3 კატეგორია



ილუსტრაცია # 16

M3 კატეგორიის ავტობუსის 10 მარშუტიდან დიდი ტევადობის ავტობუსები ემსახურებიან #3, #23, #24, #33, #51 და #79 მარშრუტებს (#24 და #51 მოძრაობს MAN-ის ფირმის ავტობუსი), დანარჩენ მარშრუტებზე მოძრაობენ საშუალო ტევადობის ბოგდანის მარკის ავტობუსები.

M2 კატეგორია



ილუსტრაცია # 17

M2 კატეგორიის ავტობუსები მოძრაობენ #8, 9, 29, 30, 43, 45, 77, 78, 85, 86, 96, 100, 111, 116, 136, 139, 142, 144, 145, 147, 148, 153, 158, 180, 187, 202, 210, 211, 217, 225 და 226 მარშრუტებზე.

რეზერვების ანალიზი

M2 და M3 კატეგორიების ავტობუსების მაქსიმალური ტევადობების და დატვირთულობების შესწავლით მოვახდინეთ პიკის საათებში საშუალო რეზერვების გამოთვლა მიმართულებების და მარშრუტების მიხედვით.


1 მიმართულებით 8:30-09:30 საათში საზოგადოებრივი ტრანსპორტის
დაბვირთულობის და რეზერვის ანალიზი
დაბვირთულობა (ადამიანი/საათში)
რეზერვი (ადამიანი/საათში)
M2
M3 სამგორი
M3 დიდი
0
50
100
150
200
250
300
350
400
8 9 29 30 39 43 45 77 78 85 86 96 100 111 116 133 136 139 142 144 145 147 148 153 158 180 187 202 210 211 217 225 226
32 45 73 108
3 23 33 79 24 51


2 მიმართულებით 8:30-09:30 საათში საზოგადოებრივი ტრანსპორტის დაგვიანებულობის და რეზერვის ანალიზი
დაგვიანებულობა / საათში
რეზერვი (ადამიანი/საათში)
M2
M3 სამგორი
M3 დიდი
0
50
100
150
200
250
300
350
400
8 9 29 30 39 43 45 77 78 85 86 96 100 111 116 133 136 139 142 144 145 147 148 153 158 180 187 202 210 211 217 225 226 32 45 73 108 3 23 33 79 24 51
6 19 42 132 71 63 11 76 84 11 11 84 115 67 97 113 23 46 42 74 82 125 40 57 23 56 145 63 36 9 74 38 77 5 82 43 216 256 224 184 292 318
36 44 63 36 160 21 74 71 63 11 11 74 200 2 105 44 48 19 88 65 42 153 36 53 151 9 34 90 43 104 144 16 136 52 26


1 მიმართულებით 18:00-19:00 საათში საზოგადოებრივი ტრანსპორტის დატვირთულობის და რეზერვის ანალიზი
0
50
100
150
200
250
300
350
M2
M3 სვანეთი
M3 დიდი
დატვირთულობა ადამიანი / საათში
რეზერვი (ადამიანი/ საათში)


2 მიმართულებით 18:00-19:00 საათში საზოგადოებრივი ტრანსპორტის
დაგვიანებულობის და რეზერვის ანალიზი
0
50
100
150
200
250
300
350
M2
M3 სვანეთი
M3 დიდი
დაგვიანებულობა (ადამიანი/საათში)
რეზერვი (ადამიანი/საათში)

M2 და M3 კატეგორიების ავტობუსებში არსებული რეზერვების რაოდენობები მარშრუტების მიხედვით პიკის საათში (08:30-09:30) მოცემულია ცხრილების სახით

M2 და M3 მარშრუტის #	მიმართულება	ტევადობა	ინტერვალი (წთ)	სიხშირე (რაოდენობა/ საათში)	მოცულობა ადამიანი / საათში	დატვირთულობა ადამიანი / საათში	რეზერვი (ადამიანი / საათში)
1	2	3	4	5	6	7	8
		A	B	C=60/B	D=A*C	F	G=D-F
8	მ/ს "ახმეტელის თეატრი"	21	30	2.0	42	42	0
	ავშნიანის დასახლება	21	30	2.0	42	6	36
9	მ/ს "ახმეტელის თეატრი"	21	15	4.0	84	82	2
	ლერი ლაგურაშვილის ქ.	21	20	3.0	63	19	44
29	მ/ს "ახმეტელის თეატრი"	21	10	6.0	126	107	19
	მუხიანის IV "ბ" მ/რ	21	12	5.0	105	42	63
30	მ/ს "დელისი"	21	15	4.0	84	40	44
	ომარ ხიზანიშვილის ქ.	21	8	8.0	168	132	36
39	მ/ს "ახმეტელის თეატრი"	21	6	10.0	210	155	55
	ომარ ხიზანიშვილის ქ.	21	5	11.0	231	71	160
43	მ/ს ,,სარაჯიშვილი"	21	10	6.0	126	95	32
	მ/ს "ახმეტელის თეატრი"	21	15	4.0	84	63	21
45	მ/ს "ახმეტელის თეატრი"	21	12	5.0	105	88	17
	მუხიანის I მ/რ	21	15	4.0	84	11	74
77	მ/ს "სადგურის მოედანი"	21	12	5.0	105	61	44
	ომარ ხიზანიშვილის ქ.	21	9	7.0	147	76	71
78	მ/ს "ახმეტელის თეატრი"	21	9	7.0	147	86	61
	დიდი დიღომი IV მ/რ	21	9	7.0	147	84	63
85	ვახტანგ ვეკუას ქ.	21	30	2.0	42	6	36
	ხოჭოს ტბის ქ.	21	60	1.0	21	11	11

86	მ/ს "ახმეტელის თეატრი"	21	30	2.0	42	29	13
	პატარა გლდანი	21	60	1.0	21	11	11
96	მ/ს "ახმეტელის თეატრი"	21	7	9.0	189	126	63
	გლდანის VIII მ/რ	21	8	8.0	168	84	84
100	ვაჟა-ფშაველას V კვ.	21	20	3.0	63	17	46
	ომარ ხიზანიშვილის ქ.	21	7	9.0	189	116	74
111	მიხეილ ბუხაიძის ქ.	21	60	1.0	21	6	15
	სოფელი გლდანი	21	15	4.0	84	67	17
116	მ/ს "ახმეტელის თეატრი"	21	15	4.0	84	13	71
	თბილისი მოლის მიმდებ.	21	10	6.0	126	97	29
133	ვახტანგ გორგასალის ქ.	21	15	4.0	84	36	48
	ნიკო კეცხოველის ქ.	21	10	6.0	126	113	13
136	მ/ს "სანდრო ახმეტელის თეატრი"	21	60	1.0	21	2	19
	გლდანის ხევის ქ.	21	8	8.0	168	23	145
139	მ/ს "სანდრო ახმეტელის თეატრი"	21	15	4.0	84	63	21
	გმირი კურსანტების ქუჩა	21	15	4.0	84	46	38
142	დავით კლდიაშვილის ქუჩა	21	12	5.0	105	50	55
	მუხიანის IV მ/რ	21	12	5.0	105	42	63
144	მ/ს "ახმეტელის თეატრი"	21	5	13.0	273	260	13
	მუხიანის III მ/რ	21	5	13.0	273	74	200
145	თავისუფლების მოედანი	21	12	5.0	105	76	29
	ნოდარ დუმბაძის გამზირი	21	15	4.0	84	82	2
147	მაღლივი კორპუსი	21	15	4.0	84	55	29
	მ/ს "ახმეტელის თეატრი"	21	5	11.0	231	126	105

148	მ/ს "ახმეტელის თეატრი"	21	30	2.0	42	8	34
	დაბა ზაჰესის დასახლება	21	15	4.0	84	40	44
153	მ/ს "სანდრო ახმეტელის თეატრი"	21	10	6.0	126	116	11
	ზღვის უბნის IV მ/რ,	21	12	5.0	105	57	48
158	მ/ს "სანდრო ახმეტელის თეატრი"	21	20	3.0	63	38	25
	შპს "ლილო მოლი"	21	30	2.0	42	23	19
180	#8 სასჯელაღსულების დაწეს	21	9	7.0	147	109	38
	მ/ს "სანდრო ახმეტელის თეატრი"	21	9	7.0	147	59	88
187	მუხიანის ნაკვეთები	21					
	მ/ს "სანდრო ახმეტელის თეატრი"	21					
202	გლდანის VI მ/რ	21	20	3.0	63	21	42
	ჭავჭავაძის გამზ	21	6	10.0	210	145	65
210	მ/ს სარაჯიშვილი	21	12	5.0	105	86	19
	გლდანის V მ/რ	21	12	5.0	105	63	42
211	გლდანის IIIა	21	6	10.0	210	170	40
	მ/ს "სანდრო ახმეტელის თეატრი"	21	7	9.0	189	36	153
217	მ/ს "სანდრო ახმეტელის თეატრი"	21	30	2.0	42	36	6
	გიორგი წმინდის უბანი	21	30	2.0	42	6	36
225	მ/ს "სანდრო ახმეტელის თეატრი"	21	10	6.0	126	95	32
	გლდანის VII - VIII მ/რ	21	10	6.0	126	74	53
226	მ/ს "სანდრო ახმეტელის თეატრი"	21	7	9.0	189	109	80
	გლდანის IV მ/რ	21	7	9.0	189	38	151

32	გლდანის VII - VIII მ/რ	43	30	2.0	86	47	39
	დიდი დიღომი IV მ/რ	43	30	2.0	86	77	9
45	სოფელი გლდანი	43	60	1.0	43	39	4
	მ/ს "სანდრო ახმეტელის თეატრი"	43	60	1.0	43	9	34
73	გლდანულა	43	15	4.0	172	159	13
	მ/ს "სანდრო ახმეტელის თეატრი"	43	15	4.0	172	82	90
108	სოფელი გლდანი	43	30	2.0	86	52	34
	მ/ს "სანდრო ახმეტელის თეატრი"	43	30	2.0	86	43	43
3	მ/ს "სანდრო ახმეტელის თეატრი"	80	20	3.0	240	184	56
	პაიჭაძის ქ	80	15	4.0	320	216	104
23	გლდანის VII - VIII მ/რ	80	12	5.0	400	104	296
	ბარათაშვილის ქ	80	12	5.0	400	256	144
33	გლდანის VII - VIII მ/რ	80	15	4.0	320	128	192
	ბარათაშვილის ქ	80	20	3.0	240	224	16
79	მუხიანის III მ/რ	80	20	3.0	240	216	24
	მ/ს "სანდრო ახმეტელის თეატრი"	80	15	4.0	320	184	136
24	გლდანის VII - VIII მ/რ	86	20	3.0	258	103	155
	მაღლივი კორპუსი	86	15	4.0	344	292	52
51	გლდანი-გლდანულა	86	60	1.0	86	69	17
	ჭავჭავაძის გამზ	86	15	4.0	344	318	26
1 მიმართულებით 8:30 -9:30 საათში M3 რეზერვი							830
2 მიმართულებით 8:30 -9:30 საათში M3 რეზერვი							654
1 მიმართულებით 8:30 -9:30 საათში M2 რეზერვი							1056
2 მიმართულებით 8:30 -9:30 საათში M2 რეზერვი							2056

M2 და M3 კატეგორიების ავტობუსებში არსებული რეზერვების რაოდენობები მარშრუტების მიხედვით პიკის საათში (18:00-19:00) მოცემულია ცხრილების სახით.

M2 და M3 მარშრუტის #	მიმართულება	ტევადობა	ინტერვალი (წთ)	სიხშირე (რაოდენობა/ საათში)	მოცულობა ადამიანი / საათში	დატვირთულობა ადამიანი / საათში	რეზერვი (ადამიანი / საათში)
1	2	3	4	5	6	7	8
		A	B	C=60/B	D=A*C	F	G=D-F
8	მ/ს "ახმეტელის თეატრი"	21	30	2.0	42	27	15
	ავშნიანის დასახლება	21	60	1.0	21	13	8
9	მ/ს "ახმეტელის თეატრი"	21	15	4.0	84	55	29
	ლერი ლაგურაშვილის ქ.	21	20	3.0	63	38	25
29	მ/ს "ახმეტელის თეატრი"	21	10	6.0	126	86	40
	მუხიანის IV "ბ" მ/რ	21	10	6.0	126	71	55
30	მ/ს "დელისი"	21	15	4.0	84	57	27
	ხიზანიშვილის ქ.	21	15	4.0	84	34	50
39	მ/ს "ახმეტელის თეატრი"	21	5	13.0	273	126	147
	ხიზანიშვილის ქ.	21	5	13.0	273	185	88
43	მ/ს ,,სარაჯიშვილი"	21	9	7.0	147	109	38
	მ/ს "ახმეტელის თეატრი"	21	9	7.0	147	130	17
45	მ/ს "ახმეტელის თეატრი"	21	9	7.0	147	76	71
	მუხიანის I მ/რ	21	10	6.0	126	92	34
77	მ/ს "სადგურის მოედანი"	21	15	4.0	84	44	40
	ომარ ხიზანიშვილის ქ.	21	9	7.0	147	46	101
78	მ/ს "ახმეტელის თეატრი"	21	20	3.0	63	34	29
	დიდი დიღომი IV მ/რ	21	12	5.0	105	38	67
85	ვახტანგ ვეკუას ქ.	21	60	1.0	21	15	6
	ხოჭოს ტბის ქ.	21	30	2.0	42	17	25
86	მ/ს "ახმეტელის თეატრი"	21	30	2.0	42	15	27
	პატარა გლდანი	21	30	2.0	42	13	29

96	მ/ს "ახმეტელის თეატრი"	21	6	10.0	210	103	107
	გლდანის VIII მ/რ	21	5	12.0	252	183	69
100	ვაჟა-ფშაველას V კვ.	21	20	3.0	63	23	40
	ომარ ხიზანიშვილის ქ.	21	8	8.0	168	57	111
111	მიხეილ ბუხაიძის ქ.	21	30	2.0	42	36	6
	სოფელი გლდანი	21	20	3.0	63	48	15
116	მ/ს "ახმეტელის თეატრი"	21	15	4.0	84	27	57
	თბილისი მოლის მიმდებ.	21	12	5.0	105	53	53
133	ვახტანგ გორგასალის ქ.	21	15	4.0	84	42	42
	ნიკო კეცხოველის ქ.	21	30	2.0	42	11	32
136	მ/ს "სანდრო ახმეტელის თეატრი"	21	12	5.0	105	38	67
	გლდანის ხევის ქ.	21	8	8.0	168	105	63
139	მ/ს "სანდრო ახმეტელის თეატრი"	21	12	5.0	105	25	80
	გმირი კურსანტების ქუჩა	21	30	2.0	42	23	19
142	დავით კლდიაშვილის ქუჩა	21	20	3.0	63	29	34
	მუხიანის IV მ/რ	21	20	3.0	63	13	50
144	მ/ს "ახმეტელის თეატრი"	21	5	13.0	273	229	44
	მუხიანის III მ/რ	21	5	11.0	231	216	15
145	თავისუფლების მოედანი	21	15	4.0	84	61	23
	ნოდარ დუმბაძის გამზირი	21	15	4.0	84	29	55
147	მაღლივი კორპუსი	21	15	4.0	84	46	38
	მ/ს "ახმეტელის თეატრი"	21	10	6.0	126	29	97
148	მ/ს "ახმეტელის თეატრი"	21	30	2.0	42	8	34
	დაბა ზაჰესის დასახლება	21	20	3.0	63	23	40

153	მ/ს "სანდრო ახმეტელის თეატრი"	21	8	8.0	168	109	59
	ზღვის უბნის IV მ/რ,	21	9	7.0	147	132	15
158	მ/ს "სანდრო ახმეტელის თეატრი"	21					
	შპს "ლილო მოლი"	21					
180	#8 სასჯელაღსულების დაწ	21	8	8.0	168	92	76
	მ/ს "სანდრო ახმეტელის თეატრი"	21	6	10.0	210	158	53
187	მუხიანის ნაკვეთები	21					
	მ/ს "სანდრო ახმეტელის თეატრი"	21					
202	გლდანის VI მ/რ	21	10	6.0	126	95	32
	ჭავჭავაძის გამზ	21	8	8.0	168	44	124
210	მ/ს სარაჯიშვილი	21	12	5.0	105	69	36
	გლდანის V მ/რ	21	15	4.0	84	44	40
211	გლდანის IIIა	21	7	9.0	189	111	78
	მ/ს "სანდრო ახმეტელის თეატრი"	21	6	10.0	210	151	59
217	მ/ს "სანდრო ახმეტელის თეატრი"	21	30	2.0	42	23	19
	გიორგი წმინდის უბანი	21	30	2.0	42	21	21
225	მ/ს "სანდრო ახმეტელის თეატრი"	21	9	7.0	147	86	61
	გლდანის VII - VIII მ/რ	21	10	6.0	126	76	50
226	მ/ს "სანდრო ახმეტელის თეატრი"	21	5	12.0	252	99	153
	გლდანის IV მ/რ	21	5	12.0	252	208	44
32	გლდანის VII - VIII მ/რ	43	30	2	86	56	30

	დიდი დიღომი IV მ/რ	43	30	2	86	52	34
45	სოფელი გლდანი	43	30	2	86	52	34
	მ/ს "სანდრო ახმეტელის თეატრი"	43	30	2	86	77	9
73	გლდანულა	43	15	4	172	112	60
	მ/ს "სანდრო ახმეტელის თეატრი"	43	12	5	215	189	26
108	სოფელი გლდანი	43	30	2	86	43	43
	მ/ს "სანდრო ახმეტელის თეატრი"	43	30	2	86	60	26
3	მ/ს "სანდრო ახმეტელის თეატრი"	80	15	4	320	152	168
	პაიჭაძის ქ	80	15	4	320	232	88
23	გლდანის VII - VIII მ/რ	80	20	3	240	112	128
	ბარათაშვილის ქ	80	15	4	320	192	128
33	გლდანის VII - VIII მ/რ	80	30	2	160	48	112
	ბარათაშვილის ქ	80	20	3	240	112	128
79	მუხიანის III მ/რ	80	20	3	240	128	112
	მ/ს "სანდრო ახმეტელის თეატრი"	80	20	3	240	200	40
24	გლდანის VII - VIII მ/რ	86	20	3	258	181	77
	მაღლივი კორპუსი	86	20	3	258	172	86
51	გლდანი-გლდანულა	86	20	3	258	198	60
	ჭავჭავაძის გამზ	86	20	3	258	163	95
1 მიმართულებით 18:00 -19:00 საათში M3 რეზერვი							825
2 მიმართულებით 18:00 -19:00 საათში M3 რეზერვი							659
1 მიმართულებით 18:00 -19:00 საათში M2 რეზერვი							1554
2 მიმართულებით 18:00 -19:00 საათში M2 რეზერვი							1523

შემოთავაზებული მშენებლობის მიმოხილვა



ილუსტრაცია # 18

წინამდებარე განაშენიანების რეგულირების გეგმის წინასაპროექტო კვლევა დამუშავებულია კერძო დაკვეთით და მიზნად ისახავს ტერიტორიის გეგმარებით და სამართლებრივ მომზადებას სრულყოფილი ინფრასტრუქტურის მქონე მრავალფუნქციური კომპლექსის დასაგეგმარებლად. მითითებული გეგმარებითი ერთეულის ფარგლებში შპს „დონა გრუპი", ქ. თბილისში, ხევძმარის ქუჩა #1-ს მიმდებარედ აპირებს მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობას, რომელშიც გათვალისწინებულია შემდეგი ფუნქციური სახეობების განვითარება: საცხოვრებელი; სასტუმრო; კომერციული და დამხმარე ფუნქციის მქონე შენობა-ნაგებობების განთავსება და საპროექტო არეალის ფარგლებში მდებარე სარეკრეაციო სივრცეების კეთილმოწყობა გაჯანსაღება; მთელი ტერიტორიის ფარგლებში, სარეკრეაციო სივრცის ყველაზე მსხვილ ერთეულად, სახელდება შიდა კვარტალური, თანამედროვე სტანსარტების მქონე საუბნო და სარაიონო მოხმარების შიდა ეზო; დამატებით იგეგმება

საპროექტო კომპლექსის სრულყოფილი შიდა კვარტალური სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის დაგეგმარება და მისი ინტეგრირება ქალაქის ქუჩათა ქსელში.

შიდა სავალი ნაწილი სრულად ადაპტირებულია შ.შ.მ. პირთა და ქვეითთა გადაადგილებისთვის. სატრანსპორტო საშუალებებს შექმნილი აქვთ შესაბამისი ბარიერები და აქედან გამომდინარე სიჩქარე არ აღემატება 20 კმ/სთ-ს

დასახელება	რაოდენობა	განზომილება
საპროექტო ტერიტორიის ფართობი	26378	მ^2
საცხოვრებელი შენობის ფართობი	47937	მ^2
სასტუმროს ფართი	4200	მ^2
კომერციული ფართი	27880	მ^2
საპარკინგე ადგილების რაოდენობა	505	ცალი

გენერირებული/მიზიდული ნაკადები და სივრცითი განაწილება



ილუსტრაცია # 19



ილუსტრაცია # 20

გადაადგილებების სივრცითი და მათემატიკური ანალიზის შედეგად მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით შეიქმნა სატრანსპორტო ნაკადების განაწილების რუკა სამიზნე მაკრო ზონების მიხედვით, რომელიც მთელ ქალაქზე განზოგადდება არსებული სატრანსპორტო ნაკადების გათვალისწინებით.

კვლევის შედეგად მიღებული მონაცემებიდან გამოყვანილი კოეფიციენტების მიხედვით მოხდა ჩვენს მიერ დათვლილი სატრანსპორტო ნაკადების პროპორციული გადანაწილება იმ კვანძებზეც, რომლების ანალიზიც მოთხოვნილია დავალების სახით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ.

გენერირებული ნაკადები

დასახელება	რაოდენობა
გამოკითხული შინამეურნეობა	125
გამოკითხული ადამიანები	340
ყველა სახის გადაადგილება	557
გამოკითხულ შინამეურნეობათა მფლობელობაში არსებული მოტორიზებული სატრანსპორტო საშუალებები	46
ავტომობილიზაციის კოეფიციენტი მაკრო ზონისტვის	0.37
გადაადგილებები	

ავტომობილის მძღოლი	77
ავტომობილის მგზავრი	57
ტაქსით	9
საზოგადოებრივი ტრანსპორტი	206
ქვეითი	206
სხვა გადაადგილება	2

ცხრილი N 6

იმის გასარკვევად, თუ რა სახის ტრანსპორტით გადაადგილება ჭარბობს აღნიშნული მიკროზონებიდან, მოხდა მათი მოდალური განაწილება გადაადგილების საშუალებების მიხედვით:



ილუსტრაცია # 21

აღნიშნულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, მოხდა მოტორიზებული კერძო სატრანსპორტო საშუალებებით გადაადგილების ანალიზი გეოსაინფორმაციო საშუალებების გამოყენებით, რათა მომხდარიყო მათი სივრცული აღქმა/განაწილება.

საკვლევი მიკრო ზონებიდან ყველა მიმართულებით კერძო ტრანსპორტით გადაადგილებების რიცხვი შეადგენს 143-ს, რაც მთლიანი გადაადგილებების 25%-ა. შემდგომ ილუსტრაციაში

მოცემულია საკვლევი მიკროზონების შიგნით არსებული გადაადგილებების მოდალური განაწილება.



ილუსტრაცია # 22

დიაგრამაზე გამოსახულია ავტომობილით გადაადგილებების სივრცითი განაწილება რაოდენობის მიხედვით სამიზნე ზონებში. უნდა აღინიშნოს, რომ ავტომობილებით გადაადგილების სრული რაოდენობის 7.6% ხორციელდება თვითონ საკვლევი მიკროზონების შიგნით. საკვლევი მიკროზონების შიგნით ასევე პოპულარულია ფეხით სიარულიც(89%).



ილუსტრაცია # 23

შემდგომ ეტაპზე მოხდა საკვლევი მიკროზონებდან გენერირებული გადაადგილებების კვლევა მოტივის მიხედვით. ილუსტრაციაზე მოცემულია გადანაწილების პროცენტული მაჩვენებლები გადაადგილების მოტივის მიხედვით:



ილუსტრაცია # 24



ცხრილი N 7

გენერირებული (საპროექტო) ნაკადების კალკულაცია - საზოგადოებრივი ტრანსპორტი



ილუსტრაცია # 25. გენერირებული ნაკადების სივრცითი განაწილება (ერთი დღის)

რუკაზე გამოსახულია საზოგადოებრივი ტრანსპორტით გადაადგილებების ინტენსივობა ფერების გრადაციით.

შემდგომ ცხრილში მოცემულია გენერირებული ადამიანების რაოდენობების ანგარიშები ფართების ტიპების მიხედვით:

	ფართი (მ²)[1]	კოეფიციენტი[2]	ადამიანების რაოდენობა	კოეფიციენტი[3]	გადაადგილებების სრული რაოდენობა
საცხოვრებელი	38349.60	18.6	2062	1.56	3216

ცხრილი N 8 მიზიდული გადაადგილებები (შინამეურნეობების კვლევა)

საცხოვრებელ ფართზე გამოყვანილი სავარაუდო მაცხოვრებლების რაოდენობიდან(2062) შეგვიძლია ვიანგარიშოთ დღიური სავარაუდო გადაადგილებების რაოდენობა:

[1] საცხოვრებელი ფართობის (კ2) 80%

[2] კოეფიციენტი აღებულია საქართველოს მთავრობის დადგენილება N 41-დან (2016 წლის 28 იანვარი ქ. თბილისი, დაკავებულობა)

[3] ადამიანების გამოთვლილი რაოდენობის მიერ შესრულებული სრული დღიური გადაადგილებების კოეფიციენტი (შინამეურნეობების მობილობის კვლევა (SYSTRA))

$$\text{დღიური გადაადგილება} = 2062 * 1{,}56^{4} = \mathbf{3216}$$

$$\text{დილის პიკის საათი} = 3216 * 30\%^{5} = \mathbf{965}$$

შინამეურნეობების მობილობის კვლევის ანალიზისას ვარკვევთ დილის პიკის საათში შესრულებულ გადაადგილებების მოდალურ განაწილებას:



ილუსტრაცია # 26. დილის პიკის საათში გენერირებული ნაკადები

	გენერირებული გადაადგილება დილის პიკის საათში	კოეფიციენტი	გადაადგილების რაოდენობა
საზოგადოებრივი ტრანსპორტი	965	0.39	378
ქვეითი	965	0.35	336
ავტომობილის მგზავრი	965	0.09	91

[4] 1,56 - დღიური გადაადგილების მაჩვენებელი თბილისის საშუალო მაცხოვრებლისთვის (შინამეურნეობების მობილობის კვლევა (SYSTRA))

[5] 30% -დილის პიკის საათის წილი (შინამეურნეობების მობილობის კვლევა (SYSTRA))

ავტომობილის მძღოლი	965	0.14	140
ტაქსის მგზავრი	965	0.02	21

ცხრილი N 9. დილის პიკის საათში გენერირებული ნაკადები საცხოვრებლიდან

მიზიდული ნაკადები

საკვლევ მიკროზონებში მიზიდული ნაკადების შემთხვევაში გადაადგილებების რაოდენობა ყველა სხვა ზონიდან შეადგენს 553- ს.



ილუსტრაცია # 27

საკვლევ ზონაში მიზიდული გადაადგილებები (საზოგადოებრივი ტრანსპორტით)



ილუსტრაცია # 28



ილუსტრაცია # 29

$$\text{საღამოს პიკის საათი} = 3216 * 22\%^{6} = \mathbf{708}$$

[6] 22% -საღამოს პიკის საათის წილი (შინამეურნეობების მობილობის კვლევა (SYSTRA)). საღამოს პიკის საათში გენერირებულ ნაკადებში დამატებულია დილის პიკის საათში, საოფისე ფართზე მოზიდული ნაკადები



ილუსტრაცია # 30

	მიზიდული გადაადგილება საღამოს პიკის საათში	კოეფიციენტი	გადაადგილების რაოდენობა
საზოგადოებრივი ტრანსპორტი	708	0.46	329
ქვეითი	708	0.30	209
ავტომობილის მგზავრი	708	0.03	20
ავტომობილის მძღოლი	708	0.18	130
ტაქსის მგზავრი	708	0.03	20

ცხრილი N 10. საღამოს პიკის საათში საცხოვრებელ ფართზე მიზიდული ნაკადები

თუ შევაჯამებთ საზოგადოებრივი ტრანსპორტის რეზერვების ანალიზსა(თავი: „რეზერვების ანალიზი“) და ზემოაღნიშნულ ანგარიშებს, უხეშად შეგვიძლია გამოვიყვანოთ მგზავრთგადაყვანის არსებული და მოსალოდნელი რეზერვი. აღსანიშნავია, რომ მოზიდული და გენერირებული მგზავრები ავტობუსის გაჩერებებზე დამატებულია შესაბამისი ორივე მიმართულებაზე:

მიმართულების N	M3	M2	სრული რეზერვი[7]	დამატებული სავარაუდო მგზავრი
	დილა			
1	830	1056	1886	378
2	654	2056	2710	
	საღამო			
1	825	1554	2379	329
2	659	1523	2182	

ცხრილი N 11. საზოგადოებრივი ტრანსპორტის რეზერვების ანალიზი

რეზერვების ანალიზის მიხედვით, საპროექტო ნაკადების დამატებით, ორივე მიმართულებით რეზერვი დამაკმაყოფილებელია.

საკვლევი არეალის ქუჩებისა და კვანძების გამტარუნარიანობის კვლევა

გზაჯვარედინებისა და გზის გამტარუნარიანობა

არსებობს სხვადასხვა დოკუმენტები და სტანდარტები რომლის მიხედვითაც ანგარიშობენ გზის გამტარუნარიანობას. ჩვენს შემთხვევაში ვიყენებთ რუსულ მეთოდოლოგიას [8]„ОДМ 218.2.020-2012“ – [10] „РАСЧЕТ ПРОПУСКНОЙ СПОСОБНОСТИ МАГИСТРАЛЕЙ И УЗЛОВ“- რომლის მიხედვითაც ვანგარიშობთ გზის, გზაჯვარედინის და წრეზე შემსვლელი ზოლების გამტარუნარინობას.

გზის გამტარუნარიანობა დამოკიდებულია ბევრ რიგ ფაქტორებზე: სატრანსპორტო საშუალებების ნაკადის შემადგენლობა, სავალი ნაწილის სიგანე, გრძივი ფერდობი, სავალი ნაწილის მრუდეები, მანძილის ხილვადობა, ქვეითთა გადასასვლელები, პარალელური და 45°-იანი პარკირება, ავტობუსის გაჩერება, ამინდი და კლიმატური პირობები, სავალი ნაწილის გასწვრივ სატრანსპორტო საშუალებების მანევრირების შესაძლებლობა და სატრანსპორტო საშუალებების გაბარიტული ზომები.

[7] რეზერვი გამოთვლილია საზოგადოებრივი ტრანსპორტის დატვირთულობის შეფასების (თავი: „საზოგადოებრივი ტრანსპორტი“) ცხრილიდან.

ლოკაცია #1 შეშელიძე-შენგელია შუქნიშნით რეგულირებული გზაჯვარედინის ანგარიში



ლოკაცია #1 თ.შეშელიძე-რ.შენგელია

SMART TRANSPORTATION SOLUTIONS

სატრანსპორტო ნაკადების ცხრილი

თარიღი: 6/21/2018
დილა: 09:00 - 10:00
საღამო: 18:00 - 19:00

დილა

#	ლოკაცია	მსუბუქი ავტომობილი	მიკრო ავტობუსი	ავტობუსი	სატვირთო	სპეც. ტექნიკა	მოტოციკლეტი	ველოსიპედი
	1							
1	1.1	1062	58	6	30	1	1	0
2	1.2	459	16	3	15	3	1	0
3	1.3	1474	40	1	20	0	8	0
4	1.4	43	3	0	1	0	0	0
5	1.5	1508	81	8	16	0	5	1
6	1.6	56	1	0	4	0	0	0
7	1.7	40	5	0	3	0	0	0

საღამო

#	ლოკაცია	მსუბუქი ავტომობილი	მიკრო ავტობუსი	ავტობუსი	სატვირთო	სპეც. ტექნიკა	მოტოციკლეტი	ველოსიპედი
	1							
1	1.1	1482	31	9	24	0	8	1
2	1.2	640	4	0	10	2	3	0
3	1.3	744	27	0	26	0	1	0
4	1.4	88	0	0	0	0	1	0
5	1.5	886	52	5	22	0	2	0
6	1.6	60	5	0	2	0	0	0
7	1.7	33	2	0	2	1	0	0

შეშელიძის ქუჩაზე მეტრო სარაჯიშვილიდან გლდანის მიმართულებით სამოძრაო ზოლების რაოდენობა $n = 2$. ამ მიმართულებით შენგელიას ქუჩის კვეთასთან შუქნიშნის სდექ ხაზამდე მარჯვენა ზოლიდან დასაშვებია მოძრაობა პირდაპირ (მიმართულება 1.1) და მარჯვნივ (მიმართულება 1.2).

შენგელიას ქუჩაზე გობრონიძის ქუჩიდან შეშელიძის ქუჩის მიმართულებით სამოძრაო ზოლების რაოდენობა $n = 2$. ამ მიმართულებაზე შეშელიძის ქუჩასთან შეერთების ადგილას შუქნიშნის სდექ ხაზამდე მარჯვენა ზოლიდან დასაშვებია მოძრაობა პირდაპირ (მიმართულება 1.3) და მარჯვნივ (მიმართულება 1.4).

შეშელიძის ქუჩაზე გლდანიდან მეტრო სარაჯიშვილის მიმართულებით სამოძრაო ზოლების რაოდენობა $n = 2$. ამ მიმართულებაზე შენგელიას ქუჩის კვეთასთან შუქნიშნის სდექ ხაზამდე მარჯვენა ზოლიდან დასაშვებია მოძრაობა პირდაპირ (მიმართულება 1.5) და მარჯვნივ (მიმართულება 1.6). ამავე ზოლს შუქნიშნის სდექ ხაზამდე უერთდება მიმართულება 1.7-ზე მოძრავი ტრანსპორტის ნაკადი (ხიზაბავრას ქუჩიდან).

ზემოთ ჩამოთვლილი მარჯვენა მიმართულებები 1.2, 1.4 და 1.6 მიუხედავად იმისა, რომ მათი მარჯვნივ მოხვევის ადგილი შუქნიშნამდე მდებარეობს და ამ მიმართულებებს შუქნიშანი არ კეტევს, ნაწილობრივ შუქნიშნით რეგულირებას ექვემდებარებიან, რადგან იკეტებიან შუქნიშანზე წითელი სიგნალის გამო რიგში მდგომი ავტომობილებით.

სამოძრაო ზოლების სიგანე $b = 3{,}0$ მ.

შეშელიძის და შენგელიას ქუჩებზე ავტომობილების პარკირების ადგილი გამოყოფილი არ არის, $n_{მან} = 0$ მან./სთ.

აღნიშნულ საანგარიშო პერიოდში (დილის პიკის საათში) მოქმედებს შუქნიშნით რეგულირების შემდეგი რეჟიმი:

მიმართულებებს 1.1 და 1.5 მწვანე სიგნალი ჩართული აქვს 45 წმ-ის განმავლობაში (მიმართულებებისთვის 1.2 და 1.6 მივიღოთ 45 წმ შესაბამისად 1.1 და 1.5 მიმართულებებთან ერთად +10 წმ ცალკე მათთვის);

მიმართულებას1.3 მწვანე სიგნალი ჩართული აქვს 40 წმ-ის განმავლობაში (მიმართულებისთვის 1.4 მივიღოთ 40 წმ 1.3-თან ერთად +10 წმ მხოლოდ მისთვის);

ციკლის ხანგრძლივობა შეადგენს 95 წმ-ს.

გაანგარიშება:

დაყვანის სარეკომენდაციო კოეფიციენტები გზების ერთ დონეზე კვეთისას შუქნიშნით რეგულირების დროს [1 გვ. 56]:

სატრანსპორტო საშუალება	დაყვანის სარეკომენდაციო კოეფიციენტი
მსუბუქი ავტომობილი	1
სატვირთო ავტომობილი ტვირთამწეობით, ტ:	
2-მდე	1,2
2-6	1,5
6 და მეტი	1,6
მიკროავტობუსი	1,1
ავტობუსი:	
მცირე ტევადობის	1,4
დიდი ტევადობის	1,8
შეუღლებული ავტობუსი (ტროლეიბუსი)	2,4
ავტომატარებელი	2,2

ზოლების ჯგუფის გადინების ნაკადის საანგარიშო მნიშვნელობა კონკრეტულ საგზაო პირობებში გამოითვლება ფორმულით:

$$S = S_0 \cdot n \cdot f_{ს} \cdot f_{ქ} \cdot f_{პ} \cdot f_{ა} \cdot f_{ტ} \cdot f_{უ} \cdot f_{მარც.მ} \cdot f_{მარჯ.მ} \cdot f_{მარც.ქ} \cdot f_{მარჯ.ქ}$$

სადაც: S_0 არის ზოლის გადინების იდეალური ნაკადი და ტოლია 1900 დაყ.ავტ/სთ [2];

n - მოცემულ ჯგუფში ზოლების რაოდენობა;

$f_{ს}$ - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს სამოძრაო ზოლის სიგანეს;

$f_{ქ}$ - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს ქანობის სიდიდეს;

$f_{პ}$ - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს ქუჩაში პარკირების ადგილების არსებობას;

$f_{ა}$- კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს შეფერხებებს, რაც გამოწვეულია გაჩერებაზე ავტობუსების გაჩერებით;

$f_{ტ}$ - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს ტერიტორიის ტიპს;

$f_{უ}$ - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს სამოძრაო ზოლებზე დატვირთვის უთანაბრობას;

$f_{მარც.მ}$ - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს შეფერხებებს, რაც გამოწვეულია ჯგუფის ზოლებში მოძრავი სატრანსპორტო საშუალებების მაცხნივ მოხვევით;

$f_{მარჯ.მ}$ - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს შეფერხებებს, რაც გამოწვეულია ჯგუფის ზოლებში მოძრავი სატრანსპორტო საშუალებების მარჯვნივ მოხვევით;

$f_{მარც.ქ}$ - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს ქვეითების მიერ შექმნილ შეფერხებებს მაცხნივ მოხვევისას;

$f_{მარჯ.ქ}$ - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს ქვეითების მიერ შექმნილ შეფერხებებს მაჯვნივ მოხვევისას.

რეგულირებად გზაჯვარედინზე ზოლების ჯგუფის გამტარუნარიანობა გამოითვლება ფორმულით:

$$P_{ji} = \frac{S_{ji} \cdot g_i}{C},$$

სადაც: P_{ji} არის j ზოლების ჯგუფის გამტარუნარიანობა რეგულირების ფაზის i განმავლობაში, დაყ. ერთ./სთ.;

S_{ji} - j ზოლების ჯგუფის გადინების ნაკადი რეგულირების ფაზის i განმავლობაში, დაყ. ერთ./სთ.;

g_i – i რეგულირების ფაზის ეფექტური ხანგრძლივობა, წმ.;

C - რეგულირების ციკლის ხანგრძლივობა, წმ..

დატვირთულობის კოეფიციენტი გამოთვლება ფორმულით:

$$z = \frac{N_{პიკ.}^{სთ.}}{P_{ji}}.$$

დაყვანილი ინტენსივობა მსუბუქ ავტომობილზე შესაბამის შუალედებში არის:

№	მოძრ. მიმართულება	დაყვანილი მსუბ. ავტ.			
		09:00 - 09:15	09:15 - 09:30	09:30 - 09:45	09:45 - 10:00
1	1.1	257	288	316	324
2	1.2	130	123	120	138
3	1.3	391	403	385	379
4	1.4	8	12	7	21
5	1.5	441	409	396	396
6	1.6	9	18	19	18
7	1.7	10	14	15	11

თხუთმეტ წუთიანი შუალედების დაყვანილი ინტენსივობიდან გამოგვყავს ინტენსივობის საანგარიშო საათური პიკური მნიშვნელობა, რომელიც გამოითვლება ფორმულით:

$$N_{პიკ}^{სთ} = 4N_{დაყ}, \qquad [1\ ს.8.4]$$

სადაც: $N_{დაყ}$ არის საათის თხუთმეტ წუთიან შუალედებში მსუბუქ ავტომობილზე დაყვანილი ინტენსივობის მაქსიმალური მნიშვნელობა.

